



საქმე №3/520-15

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

11.06.2015 წელი
თბილისი

ქ.

შესავალი ნაწილი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია
მოსამართლე შოთა გეწაძე
სხდომის მდივანი იამზე შიშნიაშვილი

მოსარჩელე - ა-----ი
წარმომადგენლები - თ-----ი (გამგეობის თავმჯდომარე), ე-----
-----ი, ი-----ა, ნ-----ე, ა-----ი

მოპასუხე - საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო
წარმომადგენლები - გ-----ე, ნ-----ი

მოპასუხე - ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო
წარმომადგენლები - თ-----ი, შ-----ე

დავის საგანი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების
ბათილად ცნობა; ქმედების განხორციელების დავალება

აღწერილობითი ნაწილი

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. ბათილად იქნას ცნობილი ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მ-----ს 2014 წლის პირველი დეკემბრის №9/0112/03 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში.

1.2. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის MOA 5 14 00060544 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ა-----
-----ის მიერ წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე.

1.3. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დაევალოს ა-----
-----ის მიერ 2014 წლის 25 ნოემბრის წერილით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის სრულად გაცემა.

მოსარჩელე მხარის განმარტებით, ა-----მა 2014 წლის 25 ნოემბერს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიმართა და მოითხოვა ინფორმაცია სააგენტოს მიერ 2013-2014 წლებში მედია საშუალებებისათვის გადარიცხული თანხების საერთო რაოდენობის შესახებ, ასევე, ინფორმაცია ინდივიდუალური მედია საშუალებებისათვის გადარიცხული თანხების შესახებ; ასევე, ამ ხელშეკრულების ასლები, რომლებიც ითვალისწინებს მედია საშუალებების მიერ სააგენტოს ინფორმაციის გავრცელებას, სარეკლამო და სხვა სახის მომსახურების გაწევას, ასევე, მოითხოვა ამ მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტების ასლები. 2014 წლის პირველი დეკემბრის წერილით სააგენტომ მედიის განვითარების ფონდს მიაწოდა გარკვეული საჯარო ინფორმაცია. კერძოდ, პასუხში მითითებული იყო ორგანიზაციის მიერ 2013-2014 წლებში მედია საშუალებებისათვის გადარიცხული თანხების საერთო რაოდენობა, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, რომელთა ფარგლებშიც მოხდა თანხების ხარჯვა და მიღები მედია საშუალებების ნუსხა, თუმცა არ იყო დაკონკრეტებული ცალკეული მედია საშუალებებისათვის გადარიცხული თანხების რაოდენობა, ასევე არ იყო მიწოდებული შესაბამისი ხელშეკრულებები და მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული გარემოებების გამო, 2014 წლის 23 დეკემბერს მედიის განვითარების ფონდმა ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს. სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელის განმარტებით, სააგენტო წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებულ საჯარო დაწესებულებას; ამდენად, მას ევალებოდა მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემა.

2. მოპასუხეთა პოზიცია

2.1. მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტეს, რომ კერძო დაფინანსების თაობაზე ინფორმაციის გაცემის საკითხთან დაკავშირებით, საბიუჯეტო თანხები წარმოადგენს კონკრეტული მიზნობრივი პროგრამებისათვის განკუთვნილ თანხებს და პროექტების მართვის სააგენტოს ერიცხება კონკრეტული მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად, რომელიც არ ხმარდება სააგენტოს საჭიროებას (თანამშრომელთა ხელფასები, კომუნალური ხარჯები და სხვა). ამდენად, სააგენტოზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები ვრცელდება მხოლოდ ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების ნაწილში, ხოლო რაც შეეხება სააგენტოსთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას, ეს არ წარმოადგენს საჯარო ხასიათის ინფორმაციას და მისი გაცემის ვალდებულება სააგენტოს არ გააჩნია. შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კანონიერია, რომლითაც ძალაში

დარჩა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მ-----ს 2014 წლის პირველი დეკემბრის №9/0112/03 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

2.2. მოპასუხე ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა სარჩელი არ ცნეს, მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ შესაგებელს და განმარტეს, რომ მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნა ეხება მოპასუხის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას. შესაბამისად, არსებითი მნიშვნელობა აქვს საკითხს - წარმოადგენს თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია საჯარო ინფორმაციას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისთვის და ვრცელდება თუ არა აღნიშნული კოდექსის მესამე თავის მოთხვნები მოპასუხეზე. მოპასუხე (სააგენტო) წარმოადგენს არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს. ინფორმაცია არასაბიუჯეტო დანახარჯების თაობაზე (სააგენტოს ფინანსური ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები და კერძო სამართლის სუბიექტ(ებ)ისაგან მიღებული გრანტი) არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას და მასზე არ ვრცელდება ს.ზ.ა.კ.-ის მე-3 თავით გათვალისწინებული ვალდებულებები. მოსარჩელე შეგნებულად მცდარ ინტერპრეტაციას უკეთებს ს.ზ.ა.კ.-ის მე-2 მუხლს, როდესაც უთითებს, რომ სააგენტო ახორციელებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას. მოსარჩელის არგუმენტი, რომ სააგენტოს თანამშრომლები თითქოსდა ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას, არის მცდარი, რადგან 2013-2014 წლებში ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში არცერთ პირს არ აუღია ხელფასი სახელმწიფო/ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, სააგენტო ხელფასებს გასცემდა არასაბიუჯეტო/საკუთარი შემოსავლებიდან.

3. ფაქტობრივი გარემოებები

3.1. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №1-1/410 ბრძანებით, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №1-1/410 ბრძანება (ს.ფ. 161)

3.2. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 დეკემბრის №817 ბრძანებულების თანახმად, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობას დაევალა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 დეკემბრის №817 ბრძანებულება

(ს.ფ. 145)

3.3. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2715 ბრძანების თანახმად, დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2715 ბრძანება (ს.ფ. 146-147)

3.4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2724 ბრძანებით ცვლილება შევიდა №1-1/2715 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ქონება განისაზღვრა სს საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის აქციათა 100%-ით.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2724 ბრძანება (ს.ფ. 148)

3.5. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 იანვრის №2-30 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2715 ბრძანებით დამტკიცებულ წესდებაში, რომლის თანახმადაც, წესდების პირველი მუხლის 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო.

ამავე ცვლილებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის წესდებით განსაზღვრული დათქმა - „ფონდი“ წესდების ყველა მუხლში შეიცვალა დათქმით - „სააგენტო“.

მტკიცებულებები, რომელთაც ეყრდნობა სასამართლო:

– საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 იანვრის №2-30 ბრძანება (ს.ფ. 39)

– წესდება (ს.ფ. 40-41)

3.6. ა-----ის გამგეობის თავმჯდომარემ 2014 წლის 25 ნოემბერს წერილით მიმართა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს და მოითხოვა საჯარო ინფორმაციის გაცემა.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– მიმართვა (ს.ფ. 13)

3.7. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მ-----ს 2014 წლის პირველი დეკემბრის №9/0112/03 წერილით, მოსარჩელეს მიეწოდა ინფორმაცია ნაწილობრივ.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– წერილი (ს.ფ. 14-15)

3.8. მოსარჩელემ 2014 წლის 23 დეკემბერს ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– ადმინისტრაციული საჩივარი (ს.ფ. 16-18)

3.9. საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის MOA 5 14 00060544 გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

მტკიცებულება, რომელსაც ეყრდნობა სასამართლო:

– საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის MOA 5 14 00060544 გადაწყვეტილება (ს.ფ. 19-20)

სამოტივაციო ნაწილი

4. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

საქმეში არსებული მასალების გაცნობის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, სარჩელის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმებისა და საქმეში არსებულ მტკიცებულებათა სამართლებრივი შეფასების შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ ა-----ის სარჩელი საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

5. კანონები, რომლებითაც სასამართლომ იხელმძღვანელა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიმრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის ”დ” ქვეპუნქტის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ

ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

ამავე კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, მოპასუხეების მიერ გამოცემული გადაწყვეტილებები წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, სასამართლომ, განსახილველ შემთხვევაში, მათი კანონშესაბამისობა უნდა შეამოწმოს და აღნიშნულის შემდეგ გადაწყვიტოს ქმედების განხორციელების, ანუ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გაცემის დავალების საკითხი.

6.2. საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის, ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია, ასევე საჯარო დაწესებულების მიერ

პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაცია.

ამავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

აღნიშნული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტის თანახმად, საჯარო დაწესებულებაა – ადმინისტრაციული ორგანო, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში;

სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული დავის გადაწყვეტისათვის უმთავრესია დადგინდეს, წარმოადგენს თუ არა ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ საჯარო დაწესებულებას, კერძოდ, იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს თუ იგი არის სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიულ პირი, რომელიც საჯარო დაწესებულებად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ ამ დაფინანსების ფარგლებში.

სასამართლო ყურადღებას ამახვილებს შემდეგ უდავო ფაქტობრივ გარემოებებზე:

1) დადგენილია, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №1-1/410 ბრძანებით, სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“.

2) საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 14 დეკემბრის №817 ბრძანებულების თანახმად, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობას დაევალა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება.

3) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2715 ბრძანების თანახმად, დაფუძნდა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი.

4) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2724 ბრძანებით ცვლილება შევიდა №1-1/2715 ბრძანებაში, რომლის თანახმადაც, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ქონება განისაზღვრა სს საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის აქციათა 100%-ით.

5) საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2013 წლის 28 იანვრის №2-30 ბრძანებით ცვლილება შევიდა 2011 წლის 26 დეკემბრის №1-1/2715 ბრძანებით

დამტკიცებულ წესდებაში, რომლის თანახმადაც, წესდების პირველი მუხლის 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო. გარდა ამისა, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის წესდებით განსაზღვრული დათქმა - „ფონდი“ წესდების ყველა მუხლში შიცვალა დათქმით - „სააგენტო“.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნული უდავო ფაქტობრივი გარემოება მოწმობს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანებებით დაფუძნებული ს.ს. საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია და ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, დღეისათვის წარმოადგენენ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს.

სასამართლო განმარტავს, რომ პირის ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევისათვის მნიშვნელოვანია მისი ფუნქციებისა და მიზნების განსაზღვრა. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დეფინირებული ტერმინის - „ადმინისტრაციული ორგანო“ საფუძველზე სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ცნების განსაზღვრისთვის მნიშვნელოვანია, როგორც ზემოთ აღინიშნა, მისი ფუნქციონალური გაგება. ადმინისტრაციული ორგანოს ცნების ლეგალური დეფინიცია ორი ნაწილისგან შედგება; დეფინიციის პირველი ნაწილი მოიცავს ყველა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს, აგრეთვე - საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, როდესაც ეს სუბიექტები ასრულებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს, ისინი წარმოადგენენ ადმინისტრაციულ ორგანოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის გაგებით. არსებითი არ არის ხელისუფლების რომელი შტოს სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ესა თუ ის ორგანო, არამედ მნიშვნელოვანია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რა ფუნქციის განხორციელება გულისხმობს საქმიანობას, რომელიც არ არის კონსტიტუციური უფლებამოსილებების განხორციელება, პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საეკლესიო საქმიანობა, კანონშემოქმედება და მართლმსაჯულება.

ადმინისტრაციული ორგანოს ფუნქციონალური გაგება, რომელიც ცნების დეფინიციის მეორე ნაწილშია მოცემული, აერთიანებს იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებიც არ არიან სახელმწიფო ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა სისტემის სუბიექტები, მაგრამ კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებენ საჯარო-სამართლებრივ უფლებებს. „ნებისმიერ სხვა პირში“ იგულისხმება როგორც კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირები, ასევე საწარმოები (მაგ. შპს, სს), კერძო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილება შეიძლება დაეკისროს დელეგირებით ანუ სახელმწიფოს მხრიდან მის მიმართ უფლებამოსილების გადაცემის საფუძველზე. კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილი გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები, თუმცა კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია აღჭურვოს ეს პირები საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით, თუ იგი მოითხოვს რაიმე სპეციალურ ცოდნას და გამოცდილებას. სწორედ საჯაროსამართლებრივი

უფლებამოსილების განხორციელების პროცესში კერძო სამართლის იურიდიული პირები განიხილებიან ადმინისტრაციულ ორგანოებად და ამ დროს არიან ვალდებულნი მიიღონ გადაწყვეტილებები ან განახორციელონ ქმედებები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

აღსანიშნავია, რომ სწორედ ამგვარადაა განმარტებული ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერაც (ბს-381-370(კ-13)).

ამასთან, სახელმწიფოს მიერ თავისი ცალკეული საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების კერძო სამართლის იურიდიული პირისათვის დელეგირების საკითხის უკეთ გარკვევის მიზნით, სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის ჩანაწერზე „...საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე...“ და განმარტავს შემდეგს: ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს ნორმატიული აქტები იყოფა საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებად, რომლებიც ქმნის საქართველოს კანონმდებლობას. ამავე კანონის თანახმად, პრეზიდენტის ბრძანებულება (რომლითაც, მოცემულ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობას დაევალა სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით დაფუძნებასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება) და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებები (რომლითაც დაფუძნდა ს.ს. საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია და ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი და რომლითაც მიღებული იქნა და დამტკიცდა სააგენტოს წესდება), როგორც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები, წარმოადგენენ სწორედ იმ კანონმდებლობას, რომლის საფუძველზეც სააგენტო ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.

რაც შეეხება სააგენტოს ფუნქციონალურ გაგებას, რაც მისი ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევის საფუძველია, სასამართლო განმარტავს, რომ წესდებით განსაზღვრულია სააგენტოს მიზნები, კერძოდ: სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირების მიზნით კვლევითი, საინვესტიციო და სხვა სახის პროექტების განხორციელება; დარგის განვითარებისთვის აუცილებელი ინსტიტუციური, ადმინისტრაციული რეფორმებისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტების შემუშავება, სხვადასხვა სახელმწიფო, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ ინსტიტუციებს შორის კოორდინაციის გაძლიერების მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ქვეყანაში ფერმერული მეურნეობების შექმნის ხელშეწყობა ან/და ამგვარი ტექნოლოგიების დანერგვის პროცედურებზე მონიტორინგი; დარგის განვითარებისთვის ფინანსების მობილიზების მექანიზმის შემუშავება, არსებული ფინანსური შესაძლებლობების კვლევა და ანალიზი, საგადასახადო სისტემის ცვლილების შესაძლებლობების შესწავლა და არსებული შესაძლებლობების

გამოყენებით ცვლილებების შესახებ პროექტების მომზადება კერძო ინვესტიციების ჩართვის ხელშეწყობის მიზნით; პროფესიული კადრების განვითარებისათვის უნარ-ჩვევებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგების სისტემის შექმნა; სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის ინტეგრირების უზრუნველყოფა; ინფორმაციული ბანკის სრულყოფა/შექმნა, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისათვის; კვლევის შესაბამისი ინსტიტუციის (ცენტრი/ლაბორატორია/ინსტიტუტი) მოდელის შემუშავება და დანერგვის ხელშეწყობა ან/და მონიტორინგი მიმდინარე კვლევითი სამუშაოების განვითარებისა და კოორდინაციაზე; საცდელი პროექტების შესრულების კოორდინაცია ცალკეული ინიციატივებისა და ძალისხმევების ეფექტიანობისა და მიზანმიმართულობის უზრუნველყოფის მიზნით; საერთაშორისო (დონორი) ორგანიზაციების მაქსიმალური ჩართვის ხელშეწყობა განვითარების პროცესებში და მათთან კოორდინაციის უზრუნველყოფა; მოსახლეობის და ფართო საზოგადოების განვითარების პროცესში ჩართვის ეფექტიანი მექანიზმების შემუშავება; რეგიონებში დარგის განვითარებისა და მართვის რეგულარული და პრევენციული მონიტორინგი; ფერმერული მეურნეობის განვითარების წახალისება; პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება ან/და განხორციელებაზე კონტროლი; საინვესტიციო პროექტების შემუშავება ან/და შესრულების ხელშეწყობა ან/და შესრულების პროცესების მონიტორინგი.

ასევე, წესდებაში მითითებულია სააგენტოს დამფუძნებლების შესახებ. კერძოდ სააგენტო იქმნება დამფუძნებლის გადაწყვეტილებით. სააგენტოს დამფუძნებელია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. სააგენტოს დაფუძნების მომენტიდან სააგენტოს წესდებით გათვალისწინებული დამფუძნებლის ყველა უფლებამოსილება ენიჭება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

ასევე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (ს.ფ. 104) თანახმად დგინდება, რომ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მმართველობის ორგანოა გამგეობა, რომლის თავმჯდომარეა საქართველოს უმაღლესი თანამდებობის პირი, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე/წევრია საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარი დანელია, ხოლო წევრები არიან: დავით შავლიაშვილი, გოჩა ცოფურაშვილი, ოთარ შამუგია, ნოდარ ხადური, გიორგი კვირიკაშვილი, დავითი გალეგაშვილი და იური ნოზაძე.

აღსანიშნავია, რომ ამონაწერში ზემოაღნიშნულ პირთა თანამდებობები მითითებული არაა, ისინი დამფუძნებლებად ფიქსირდებიან, როგორც ფიზიკური პირები. თუმცა რეალურად, ჩამოთვლილ პირთაგან თითქმის ყველა, წარმოადგენენ, ან ამონაწერის მომზადების დროისათვის წარმოადგენდნენ მაღალი თანამდებობის პირებს (მირითადად მინისტრებსა და მინისტრის მოადგილეებს), რომლებიც, სასამართლოს ღრმა რწმენით, სწორედ მათ მიერ დაკავებული თანამდებობებიდან და მათი შესაბამისი მმართველობითი, საჯარო სამართლებრივი ფუნქციებიდან გამომდინარე განისაზღვრნენ გამგეობის წევრებად.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ფუნქციების ანალიზი იძლევა ერთადერთი დასკვნის გაკეთების საფუძველს - სააგენტო აღჭურვილია საჯაროსამართლებრივი ფუნქციებით; სოფლის მეურნეობა, როგორც ეროვნული მეურნეობის, მატერიალური წარმოების ერთ-ერთი ძირითადი დარგი, უმნიშვნელოვანესია როგორც ყველა ქვეყნის, ასევე საქართველოსათვის, მათ შორის, როგორც სოფლის მეურნეობის უძველესი კულტურის ქვეყნისათვის და ბუნებრივია, ესოდენ მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი სფერო მოითხოვდა უმაღლეს სახელმწიფო დონეზე რეგულირებას, რაც გამოიხატა კიდევ სამინისტროს მიერ ისეთი სააგენტოს შექმნასა და ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირების მიერ ისეთი სააგენტოს მართვაში, რომელიც განახორციელებდა უმნიშვნელოვანეს საჯარო ფუნქციას - სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ დაგეგმილი პროექტების შესრულებასა და კონტროლს, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვას.

ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ს.ზ.ა.კ.-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის თანახმად, ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ნამდვილად წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ კი იმ პირს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

რაც შეეხება მოსარჩელის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო ვალდებული იყო ინფორმაცია გაეცა ს.ზ.ა.კ.-ის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტით გათვალისწინებული ორივე საფუძველით, კერძოდ, როგორც ადმინისტრაციული ორგანო და როგორც, სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში, სასამართლო სრულად ვერ გაიზიარებს ამ პოზიციას და განმარტავს, რომ შეუძლებელია სუბიექტი არსებობდეს ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ჩანაწერის ერთდროულად ორივე ფორმით, ანუ როგორც ადმინისტრაციული ორგანო და როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი. ამ მუხლის თანახმად, მისი მიზნებისათვის, ადმინისტრაციულ ორგანოდ ყოფნა გამორიცხავს პირის კერძო სამართლის იურიდიულ პირად არსებობას.

სასამართლო ეთანხმება მოსარჩელის პოზიციას ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ადმინისტრაციულ ორგანოდ მიჩნევის ნაწილში (იხ. დასაბუთება ზემოთ), თუმცა ვერ დაეთანხმება სააგენტოს მიჩნევას საჯარო დაწესებულებად კერძო სამართლის იურიდიულ პირად არსებობის ნაწილში იმ საფუძველიდან გამომდინარე, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან, საჯარო დაწესებულებად მიიჩნევა მხოლოდ და მხოლოდ ასეთი დაფინანსების ფარგლებში; საქმის მასალების, კერძოდ ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს 2013 და 2014 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების ბალანსისა და შესაბამისი წლების წლიური ანგარიშების თანახმად (ს.ფ.

84-101), არ დგინდება სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელების შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც ა-----
-----მა მოითხოვა ინფორმაცია. ანუ, ის მოქმედებები, რის თაობაზეც იყო ინფორმაცია მოთხოვნილი, არ განხორციელებულა სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში, რაც გამორიცხავს სააგენტოს მიჩნევას ს.ზ.ა.კ.-ის 27-ე მუხლის „ა“ პუნქტით განსაზღვრულ კერძო სამართლის იურიდიული პირად.

6.3. რაც შეეხება საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის MOA 5 14 00060544 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ა-----ის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე, ეს აქტიც ბათილად უნდა იქნას ცნობილი, ვინაიდან სასამართლოს მიერ ბათილდაა მიჩნეული ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს აქტი (გადაწყვეტილების 6.2. პუნქტი). თუმცა, არსებობს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის აქტის ბათილად ცნობის დამატებითი საფუძველიც, კერძოდ, დადგენილია, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ა-----
-----ის ადმინისტრაციული საჩივარი განიხილა ზეპირი მოსმენის გარეშე და არ დააკმაყოფილა იგი. აღნიშნულ აქტში მითითებულია შემდეგი: „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი“, ხოლო თავის მხრივ ს.ზ.ა.კ.-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის კონსტრუქცია ამგვარია: „1. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი ზეპირი მოსმენის გაუმართავად, თუ:

ა) არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი;

ბ) ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად.“ ამდენად, გასაჩივრებული აქტის თანახმად, საჩივრის ზეპირი განხილვა არ მოხდა ზემოაღნიშნული „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ანუ, არსებობდა საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი, რაც, ბუნებრივია, უკავშირდება ადმინისტრაციული საჩივრის დასაშვებობის საკითხს; ეს საკითხი მოწესრიგებულია ამავე კოდექსის 182-ე მუხლით (ადმინისტრაციული საჩივრის მიღებაზე და განხილვაზე უარის თქმა), რომლის პირველ ნაწილშიც ჩამოთვლილია ის შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს. ანუ, თუ სახეზეა ამ მუხლით გათვალისწინებული საჩივრის დაუშვებლობის შემთხვევები, ადმინისტრაციული ორგანო არსებითად არ განიხილავს საჩივარს და დაუშვებლად ცნობს მას. მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული აქტის შინაარსი ცალსახად მეტყველებს იმაზე, რომ სამინისტრომ არსებითად განიხილა და იმსჯელა ადმინისტრაციულ საჩივარზე და არ დააკმაყოფილა იგი და ეს განხორციელდა ზეპირი მოსმენის გარეშე, მაშინ, როცა ს.ზ.ა.კ.-ის მე-13 თავი (ადმინისტრაციული წარმოება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) ცალსახად ავალდებულებს

ადმინისტრაციულ ორგანოს (ზემოაღნიშნული გამონაკლისის გათვალისწინებით) ადმინისტრაციული საჩივარი განიხილოს და გადაწყვიტოს ზეპირი მოსმენით და მხარეს მისცეს საკუთარი მოსაზრების წარდგენის შესაძლებლობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, როგორც ადმინისტრაციული საჩივრის განმხილველს, არ განუხორციელებია. აღნიშნულის შესაბამისად, დარღვეულია ზემოთ მითითებული საკანონმდებლო მოთხოვნა, რაც გასაჩივრებელი აქტის ბათილობის კიდევ ერთი საფუძველია.

6.4. სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას.

ამავე კოდექსის 33¹-ე მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე უკანონოა და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 24-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, განახორციელოს ეს მოქმედება ან თავი შეიკავოს ამ მოქმედების განხორციელებისაგან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ბათილად უნდა იქნას ცნობილი ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მ-----ს 2014 წლის პირველი დეკემბრის №9/0112/03 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში, მისი ბათილად ცნობის დღიდან, ასევე ბათილად უნდა იქნას ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის MOA 5 14 00060544 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მისი ბათილად ცნობის დღიდან და ა(ა)იპ სოფლის

მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს უნდა დაევალოს ა-----
-----ის მიერ 2014 წლის 25 ნოემბრის წერილით მოთხოვნილი საჯარო
ინფორმაციის სრულად გაცემა.

7. საპროცესო ხარჯები

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის
თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის
სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს,
თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში
სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხეებს - საქართველოს სოფლის მეურნეობის
სამინისტროსა და ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს
უნდა დაეკისროთ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 100 (ასი) ლარის ა--
-----ის სასარგებლოდ ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო
კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო
საპროცესო კოდექსის 244-ე, 248-ე, 249-ე, 257-ე, 364-ე, 367-ე მუხლებით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. ა-----ის სარჩელი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის
სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მ-----ს 2014
წლის პირველი დეკემბრის №9/0112/03 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-
სამართლებრივი აქტი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის ნაწილში, მისი
ბათილად ცნობის დღიდან.
3. ბათილად იქნას ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის
პირველი მოადგილის 2014 წლის 29 დეკემბრის MOA 5 14 00060544
ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ა-----
-----ის მიერ წარდგენილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის
თაობაზე, მისი ბათილად ცნობის დღიდან.
4. ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დაევალოს ა-----
-----ის მიერ 2014 წლის 25 ნოემბრის წერილით მოთხოვნილი
საჯარო ინფორმაციის სრულად გაცემა.
5. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ა(ა)იპ სოფლის

მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დაეკისროთ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის - 100 (ასი) ლარის ა-----ის სასარგებლოდ ანაზღაურება.

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (მდებარე: ქ. თბილისი, გრიგოლ რობაქიძის გამზ. №7ა) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მეშვეობით 14 დღის ვადაში დასაბუთებული გადაწყვეტილების მხარეთათვის გადაცემის მომენტიდან.

მოსამართლე

შოთა გეწაძე